



შპს ექვთიმა თაყაიშვილის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

განათლების ფაკულტეტის დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 1 მარტის ოქმი N2,

გადაწყვეტილება N6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) განათლების ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.
2. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, დამხმარე ერთეულები (კათედრა, პროგრამული მიმართულება და სხვა). ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელება.
3. ფაკულტეტზე სწავლების საფეხურებია:
 - ა) ბაკალავრიატი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტისა;
 - ბ) მაგისტრატურა, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტისა;
4. თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის წესები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და რეგულირდება შესაბამისი საფეხურის დებულების საფუძველზე. სტუდენტთა მიღების, მობილობის წესები განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დებულებებით, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით.
5. სწავლების ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.
6. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.
7. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით,

მუხლი 2. ფაკულტეტის ფუნქციები

ფაკულტეტის ფუნქციებია:

- ა) სტუდენტებისათვის ქმნის პირობებს პიროვნული პოტენციალის რეალიზებისათვის, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;
- ბ) ამზადებს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპენტეციის მქონე სპეციალისტებს;
- გ) უზრუნველყოფს შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას;
- დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ხარისხიან განათლებას;

ე) აძლევს სტუდენტებს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებთან თანაზიარობის შესაძლებლობას.

მუხლი 3. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

- ა) ფაკულტეტის საბჭო;
- ბ) ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

2. ფაკულტეტის საბჭო:

- დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განხილვა-დამტკიცების მიზნით წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და სასწავლო და პროგრამებს;
- დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და წარუდგენს რექტორსა და აკადემიურ საბჭოს განხილვა-დამტკიცების მიზნით;
- შეიმუშავებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს;
- ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

3. ფაკულტეტის საბჭო მოქმედების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და აგრეთვე ამ დებულების შესაბამისად და ანხორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს;

4. ფაკულტეტის საბჭო თავის გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე. სხდომა უფლება-მოვალეობა, თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის ნახევარი მაინც. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით და ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი და სხდომის მდივანი;

5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს და საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 5. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური საბჭო რექტორის წარდგინებით.

2. დეკანი მოქმედებს ფაკულტეტის სახელით, პასუხისმგებელია ფაკულტეტის უძრავ-მოძრავ ქონებასა და მათი ხარისხის შენარჩუნებაზე

3. დეკანი:

- შეიმუშავენ და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას, აკადემიურ და კვლევით პროგრამებს.
 - კოორდინაციას უწევს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას, უშუალოდ პასუხისმგებელია აკადემიური პროგრამების სრულად განხორციელებაზე.
 - ზრუნავს სტუდენტთა და პედაგოგთა სოციალურ დაცვაზე, მათ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.
 - ქმნის და განახორციელებს მექანიზმებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის;
 - ამტკიცებს პროგრამების ხელმძღვანელებს, აკონტროლებს აკადემიური და დამხმარე პერსონალის საქმიანობას;
 - თვალყურს ადევნებს სტუდენტთა და პედაგოგთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს;
 - ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების პროცესის ერთიან, პროცესად ჩამოყალიბებას და განვითარებას, ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფესიული განვითარებისათვის;
 - უშუალოდ ხელმძღვანელობს პროფესიული კადრების შერჩევასა და მოზიდვის პროცესს, შეიმუშავენს და განახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს, მათ შორის კონკურსებს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის სწორად განაწილებაზე;
 - უშუალოდ პასუხისმგებელია ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების დაცვაზე;
 - აღძრავს შუამდგომლობას რექტორის წინაშე ახალი სტრუქტურული რგოლების შექმნის, საშტატო ერთეულების დამატება-გაუქმების, მატერიალური რესურსების შევსება-ჩამოწერის შესახებ;
4. დეკანი დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში აყენებს საკითხს აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.